ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/07

დაბა ქედა, 17 ივლისი, 2020 წელი

**სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე**
**სხდომა დამთავრდა: 11:55 საათზე.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე** - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

**სხდომას ესწრებოდნენ:**
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;

**სხდომას არ ესწრებოდა:**
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**
ჰამიდა ზოიძე- საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/07 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

17 ივლისი, 2020 წელი

| № | სახელი, გვარი | თანამდებობა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | შუქრი თურმანიძე | საკრებულოს თავმჯდომარე | |
| 2 | რომან დავითაძე | თავმჯდომარის მოადგილე | |
| 3 | ამირან დევაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 4 | რეზო თურმანიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 5 | გოჩა გორგილაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 6 | სილოვან ბერიძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 7 | ოთარ ხარაძე | კომისიის თავმჯდომარე | |
| 8 | არჩილ გორგილაძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 9 | ვაჟა ბოლქვაძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 10 | როსტომ შერვაშიძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 11 | ტარიელ მანველიძე | ფრაქციის თავმჯდომარე | |
| 12 | კარლო თურმანიძე | ფრაქციის თავმდომარის მოადგილე | |
| 13 | მამუკა გოგოლიშვილი | ფრაქციის თავმდომარის მოადგილე | |
| 14 | ბაქარ ბარამიძე | ფრაქციის თავმდომარის მოადგილე | |
| 15 | უშანგი დუმბაძე | ფრაქციის თავმდომარის მოადგილე | |
| 16 | მზია ბოლქვაძე | ფრაქციის თავმდომარის მოადგილე | |
| 17 | ამირან ცინცაძე | საკრებულოს წევრი | |
| 18 | ბადრი შავლიძე | საკრებულოს წევრი | |
| 19 | ოთარ ბოლქვაძე | საკრებულოს წევრი | |
| 20 | ზურაბ თავდგირიძე | საკრებულოს წევრი | |
| 21 | თემურ ავალიანი | საკრებულოს წევრი | |
| 22 | რამინ ბერიძე | საკრებულოს წევრი | |
| 23 | გენადი არძენაძე | საკრებულოს წევრი | |
| 24 | გოჩა გათენაძე | საკრებულოს წევრი | |

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ივლისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელი:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. „ „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელი:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელი:** მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე

**თანამომხსენებელი:** საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.03.34.508), გარე რეკლამის განთავსებისათვის აუქციონის წესით ნებართვის გაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელი:** მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე

**თანამომხსენებელი:** საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

5. ქედის მუნიცპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელი:** მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე

**თანამომხსენებელი:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ 2020 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის 28 თებერვლის N18 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოყოფილია 750 .000 ლარი. მიმდინარე წლის ივნისის თვეში, სოფლებში ჩატარებული მოსახლეობის კრებების მიერ განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვით შედგენილი იქნა სოფლი მხარდაჭერის პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის საჭიროა აღნიშნული პროგრამის დამტკიცება საკრებულოს მიერ. აქედან გამომდინარე, რომ არ შეფერხდეს სოფლის მარდაჭერის პროგრამის განხორციელება საჭირო გახდა დღევანდელ მორიგ სხდომაზე საკითხის დამატება, შესაბამისად შუქრი თურმანიძემ წარმოადგინა ხელახალი დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1.„ „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2.„„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3.„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

4.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.03.34.508), გარე რეკლამის განთავსებისათვის აუქციონის წესით ნებართვის გაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ზერიძე

5.ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

6.ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ივლისის №01-06/07 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი დამატებული საკითხის გათვალისწინებით.

სხდომას შემოუერთდა ოთარ ბოლქვაძე.

1.მოისმინეს: „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ წარმოადგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

განსახილველ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე). დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან, 2020 წლის 20 ივლისს დღის 15:00 საათამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 20 ივლისს დღის 16:00 საათზე (მის.: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული, სხდომათა დარბაზი). „„ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 22 ივლისი (შემოსული დოკუმენტი: №61/04, 15.07.2020 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 20**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.**
(განკარგულება№20).

2. **მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ წარმოადგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

განსახილველ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან, 2020 წლის 20 ივლისს დღის 15:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2020 წლის 20 ივლისს დღის 16:00 საათზე (მის.: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი). „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის

თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 22 ივლისი (შემოსული დოკუმენტი: №58/04, 06.07.2020 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე - 20**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.**
(განკარგულება№21).

3. მოისმინეს: **„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, დამტკიცებულ საპრივატიზაციო ნუსხაში დამატებით შესატანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამი ერთეული ქონება, კერძოდ:

1. სოფელ დოლოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 135 კვ. მეტრი (ს/კ 21.01.31.007). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 432 ლარად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აუქციონის გამართვას მოითხოვს ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრები ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, სადაც განთავსდება სხვადასხვა სახის მომსახურების ობიექტი (სასადილო, მაღაზია), რომელშიც დასაქმდება მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა და აღნიშნული ობიექტის შექმნით, დამატებით ეკონომიკური სარგებელი გაუჩნდება როგორც მოსახლეობას, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს;

2. სოფელ ქვედა ბზუბზუში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 276 კვ. მეტრი (ს/კ 21.01.35.465). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 1242 ლარად; აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აუქციონის გამართვას მოითხოვს ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრები, რომლის შეძენის შემთხვევაში დაგეგმილი აქვს ააშენოს რესტორანი და სხვა ტურისტული მომსახურების ობიექტი, რომლის ამოქმედების შემდგომ მასში დასაქმდება მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა და ასევე, დამატებით ეკონომიკური სარგებელი გაუჩნდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს;

3. ავტომანქანა TOYOTA RAV-4 გამოშვების წელი 1996 წელი, სახელმწიფო ნომერი BTM010. ძრავის მოცულობა 2.0 რომელიც ექსპერტშემფასებლის მიერ შეფასებულია 1500 ლარად. აღნიშნული ავტომობილი არის უმოქმედო, დაზიანებული აქვს ძრავი, ხიდები და გადაცემათა კოლოფი. მუნიციპალიტეტის კუთვნილი ოთხი ერთეული ქონება გაყიდულია ელექტრონული აუქციონის გზით და ამოსაღებია საპრივატიზაციო ნუსხიდან, კერძოდ: (მოქმედი დამტკიცებული ნუსხის შემდეგი რიგითი ნომრები: N10; N15; N17; N20) 4 ერთეული საწვავის ცისტერნა (25 ტონიანი); დაბა ქედა, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე 40,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.03.35.425); დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა N10-ში მდებარე 119,9 კვ. მეტრი არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 21.03.33.016.01.506) და სოფ. გულებში მდებარე 293,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.03.34.501); სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჩესი) არსებული 185 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.01.37.655) უნდა გაერთიანდეს მოსაზღვრედ მდებარე მიწის ნაკვეთთან და შემდგომში, დაინტერესების შემთხვევაში, უნდა მოხდეს გაერთიანებული ნაკვეთის

აუქციონზე გატანა. ამიტომ (დამტკიცებული ნუსხიდან რიგი ნომერი - N 16) ამოსაღებია საპრივატიზაციო ნუსხიდან. ასევე, საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოსაღებია N7; N8; N9 და N11 ქონებები - 46 ერთეული რკინის საწოლი და ცხმორისის, ზვარის და მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული დტ-75 მარკის ტრაქტორები, რადგან აღნიშნული ქონებების გაყიდვა უნდა მოხდეს ჯართის სახით, დასადგენია მათი წონა და ზუსტი ადგილმდებარეობა, რის შემდგომ შესაძლებელია იქნება მათი აუქციონზე გამოტანა. ზემოაღნიშნული ქონების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია აუდიტის დასკვნა, სარეგისტრაციო დოკუმენტები, თან ერთვის განკარგულების პროექტს დანართის სახით. წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის შესაბამისად, ხდება დამტკიცებულ ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხაში ცვლილების შეტანა კერძოდ, დანართი №1-ს ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელიც წარმოდგენილია განკარგულების პროექტზე თანდართული რედაქციით, რომლის შესაბამისად საპრივატიზაციო ობიექტების რაოდენობა განისაზღვრა 14 - ერთეულად და წარმოადგენს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულების განუყოფელ ნაწილს, ამიტომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რადგან ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადების ერთთვიანი მომსახურების პაკეტი შესყიდული აქვს მიმდინარე წელში, რომლის ვადაც იწურება, შესაბამისად აუქციონის გამოცხადება და მისი დასრულება აღნიშნულ ვადაში უნდა განხორციელდეს. აქედან გამომდინარე აუცილებლობა მოითხოვს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების შემდეგ, მიმდინარე ვადაში დროულად განახორციელოს დაგეგმილი აუქციონის გამოცხადება (შემოსული დოკუმენტი:№59/04, 07.07.2020 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 20**

**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.**

(განკარგულება№22).

**4.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.03.34.508), გარე რეკლამის განთავსებისათვის აუქციონის წესით ნებართვის გაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 14.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ21.03.34.508) აუქციონის წესით ვადიან სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადება. ასევე განმარტავთ, რომ აღნიშნული ქონების სარგებლობაში გადაცემა იგეგმება 5 (ხუთი) წლის ვადით, რომელიც საჭიროებს საჯარო რეესტრში მის რეგისტრაციას, აქედან გამომდინარე ქონების სარგებლობის

უფლებით გადაცემის, ქირის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ დადგენილი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ს ოდენობით. წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ განახორციელოს აუქციონის დროულად შემჭიდროებულ ვადებში გამოცხადება (შემოსული დოკუმენტი: №57/04, 06.07.2020 წელი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

(განკარგულება№23).

**5.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

საკითხის მომხსენებელმა მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 10%-ს. ამ შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით. აქედან გამომდინარე „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-25 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად პირველი პუნქტით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტების შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ამიტომ საჭირო გახდა ინდივიდუალური აქტის მიღება, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის გამოცემა, რადგან სამართლებრივად მოწესრიგდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობის, გამონაკლისის დაშვების საკითხი. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებში ამ საკითხის მოწესრიგება მისი სრული იმპლემენტაცია. სწორედ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის პირველი პუნქტის შესაბამისად, ხდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობის შეთანხმება და განისაზღვრა 20 (ოცი) ერთეულით. მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ ინდივიდუალური აქტის მეექვსე მუხლი აწესებს მისი ძალაში შესვლის საკითხებს შემდეგი სახით: „5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე".

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა თემურ ავალიანმა შეკითხვა დასვა, თუ რა იყო ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის ზრდის მიზეზი?

რაზედაც მომხსენებელმა განუმარტა, რომ მერიის საქმიანობიდან/საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა რაოდენობრივი ზრდა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის გამოცემა, რათა სამართლებრივად მოწესრიგდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობის, გამონაკლისის დაშვების საკითხი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 3 (თემურ ავალიანი, გენად არძენაძე და გოჩა გათენაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

(განკარგულება№24).

6.მოიმინეს: .ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები (შემოსული დოკუმენტი: №62/04, 16.07.2020 წელი) შემდეგი სახით:

| N | [illegible] | სოფელი | მოსახლეობის რაოდენობა | გამოყოფილი თანხა | პროექტის დასახელება | პროექტის ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დანდალო | დანდალო | 347 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 8400 |
| | | | | | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 3600 |
| 2 | | ბალაძეები | 116 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 3 | | გოგიაშვილები | 194 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| 4 | | მოსიაშვილები | 169 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| 5 | | ტაკიძეები | 186 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 3200 |
| | | | | | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 6800 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | ხარაულა | 639 | 16000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 16000 |
| 7 | | ჯალაბაშვილები | 310 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 12000 |
| ჯამი | | | | 80000 | | |
| 8 | ცხმორისი | ცხმორისი | 600 | 16000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 16000 |
| 9 | | ახო | 594 | 16000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 16000 |
| 10 | | გეგელიძეები | 428 | 16000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 16000 |
| 11 | | გობრონეთი | 251 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 3000 |
| | | | | | გარე განათების მოწყობა | 9000 |
| 12 | | კოკოტაური | 545 | 16000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 16000 |
| 13 | | ჩეტკიძეები | 187 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| ჯამი | | | | 86000 | | |
| 14 | წონიარისი | წონიარისი | 499 | 16000 | გარე განათების მოწყობა | 16000 |
| 15 | | აბუქეთა | 279 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 12000 |
| 16 | | ვარჯანისი | 185 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| 17 | | კანტაური | 76 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 18 | | საბადური | 57 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 19 | | ტიბეთა | 154 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 20 | | სასადილოყელი | 17 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| ჯამი | | | | 78000 | | |
| 21 | ზვარე | ზვარე | 201 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| 22 | | ვაიო | 409 | 16000 | გარე განათების მოწყობა | 16000 |
| 23 | | ზესოფელი | 205 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 12000 |
| 24 | | კვაშტა | 279 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 3500 |
| 25 | | | | | გარე განათების მოწყობა | 8500 |
| 26 | | სირაბიძეები | 252 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 12000 |
| ჯამი | | | | 64000 | | |
| 27 | დაბა ქედა | არსენაული | 89 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| 28 | | აქუცა | 262 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 2400 |
| | | | | | გარე განათების მოწყობა | 9600 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 29 | | გულები | 235 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 8500 |
| | | | | | გარე განათების მოწყობა | 3500 |
| 30 | | ზენდიდი | 297 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| 31 | | კორომხეთი | 160 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| 32 | | ორცვა | 232 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 12000 |
| 33 | | ქედა | 149 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 8000 |
| | | | | | გარე განათების მოწყობა | 2000 |
| 34 | | შევაბური | 89 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 4500 |
| | | | | | გარე განათების მოწყობა | 5500 |
| 35 | | ცხემნა | 156 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 36 | | ძენწმანი | 197 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| 37 | | ხუნკუდა | 122 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| | | | ჯამი | 118000 | | |
| 38 | პ/მაისი | პ/მაისი | 525 | 16000 | გარე განათების მოწყობა | 16000 |
| 39 | | ზედა აგარა | 106 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| 40 | | კოლოტაური | 473 | 16000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 3000 |
| | | | | | გარე განათების მოწყობა | 13000 |
| 41 | | ქვედა აგარა | 109 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| | | | ჯამი | 52000 | | |
| 42 | მახუნცეთი | ქვ/მახუნცეთი | 439 | 16000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| | | | | | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 4000 |
| 43 | | ზედა ბზუბზუ | 306 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| 44 | | ზ/მახუნცეთი | 203 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 12000 |
| 45 | | ზუნდაგა | 299 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| 46 | | ქვედა ბზუბზუ | 261 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| 47 | | ქოსოფელი | 72 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| 48 | | მილისი | 123 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 49 | | ნამლისევი | 158 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 50 | | უჩხითი | 260 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 12000 |
| | | | ჯამი | 106000 | | |
| 51 | დოლოგ ანი | დოლოგანი | 417 | 16000 | გარე განათების მოწყობა | 13500 |
| | | | | | საუბნო გზებზე დასაგებად | 2500 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მზა ბეტონის შეძენა | |
| 52 | | ჭალახმელა | 162 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 10000 |
| 53 | | ჭინკაძეები | 202 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| ჯამი | | | | 38000 | | |
| 54 | ოქტომბერი | ოქტომბერი | 247 | 12000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 12000 |
| 55 | | აგოთა | 122 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 56 | | გოგინიძეები | 95 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 57 | | კუჭულა | 201 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| 58 | | მეძიბნა | 188 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| ჯამი | | | | 54000 | | |
| 59 | მერისი | მერისი | 300 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| 60 | | გარეტყე | 89 | 10000 | სოფლის სახლის მშენებლობა | 10000 |
| 61 | | გუნდაური | 218 | 12000 | გარე განათების მოწყობა | 12000 |
| 62 | | ინაშარიძეები | 200 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| 63 | | ნამონასტრევი | 60 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 4500 |
| | | | | | გარე განათების მოწყობა | 5500 |
| 64 | | სილიბაური | 117 | 10000 | საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა | 4500 |
| | | | | | გარე განათების მოწყობა | 5500 |
| 65 | | სიხალიძეები | 148 | 10000 | გარე განათების მოწყობა | 10000 |
| ჯამი | | | | 74000 | | |
| სულ ჯამი | | | | 750 000 | | |

**აზრი გამოთქვეს:**

საკრებულოს წევრმა გენად არძენიძემ დასვა შეკითხვა, თუ რატომაა სულ 65-ვე სოფელში გზა-ბეტონისა და გარე განათების მოთხოვნა, მისი თქმით ეს ხალხის მოთხოვნა არაა, უბრალოდ ისევ მთავრობა წყვეტთ საკითხს.

რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა მოგეხსენებათ, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს მოსახლეობასთან შეხვედრები: ,,პირადად მე დავდივარ სოფლებში შეხვედრებზე ჩემთან ერთად უმრავლესობის წარმომადგენლებიც და დაგიდასტურებენ, რომ ღონისძიებები, რაც ამ პროგრამითაა გაწერილი არის მოსახლეობის მოთხოვნა და შესაბამისად, ეს მათ მიერ დასმული პრობლემებია, ამიტომ ბატონო გენად ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს მოსახლეობის მოთხოვნა არაა“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

**შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ შენიშვნების გათვალისწინებით კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 1 (გენად არძენაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.
(განკარგულება№25).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 11:55 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწაროებისა და ნონა ბერიძე
საორგანიზაციო განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი